



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 35

12/12/2019

**„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №31-ე განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №31-ე განკარგულებაში და განკარგულებიდან ამოღებულ იქნას მე-2 პუნქტი.
2. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის N 31 განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

